

საქართველოს კანონი

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი არეგულირებს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ შექმნილი ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების სტატუსთან, მათ საზღვრებთან, მათი მართვისა და ფუნქციონირების თავისებურებებთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებული ტერმინები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინებს.

თავი II

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების სტატუსი, ფართობი და საზღვრები
დაცული ტერიტორიების კატეგორიების მიხედვით

მუხლი 3. ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის სტატუსი, ფართობი
და საზღვრები

1. შეიქმნას ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი 14820,6 ჰა ტერიტორიაზე.

2. ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის შემადგენლობაში არსებული სატყეო კვარტალები და ლიტერებია: კვარტალები NN1-დან 22-ის ჩათვლით (სულ 3799 ჰა); N23 კვარტალის ლიტერები NN1-დან 20-ის ჩათვლით და NN27-დან 32-ის ჩათვლით (სულ 110,2 ჰა); N24 კვარტალის ლიტერები NN1-დან 10-ის ჩათვლით (სულ 49,6 ჰა); კვარტალები NN25-დან 41-ის ჩათვლით (სულ 2795 ჰა); N43 კვარტალის ლიტერები NN1-დან 10-ის ჩათვლით, N12, NN14-დან 15-ის ჩათვლით, N24 და N29 (სულ 75,31 ჰა); N44 კვარტალის ლიტერები NN1-დან 6-ის ჩათვლით, N9, N11, N13, NN21-23 და N25 (სულ 49,30 ჰა); N45 კვარტალის ლიტერები NN1-23, NN28-29 და N31 (სულ 120,4 ჰა); N46 კვარტალი (სულ 135 ჰა); N47 კვარტალის ლიტერები NN1-18, N21 და N34 (სულ 126,7 ჰა); N48 კვარტალის ლიტერები NN1-26 (სულ 130,5 ჰა); N49 კვარტალის ლიტერები NN1-18 (სულ 49,99 ჰა); N51 კვარტალის ლიტერები NN1-5, N11 და N13 (სულ 26 ჰა); NN52-54 კვარტალები (სულ 464 ჰა); N55 კვარტალის ლიტერები NN1-3, N6, NN9-11 და NN14-16 (სულ 77 ჰა); NN56-60 კვარტალები (სულ 819 ჰა); NN62-70 (სულ 1564 ჰა); N71 კვარტალის ლიტერები N4, NN8-10 და NN12-16 (სულ 82,7 ჰა); NN73-77 კვარტალები (სულ 832 ჰა); N80 კვარტალის ლიტერები NN1-5, N7, NN11-15 და NN18-20 (სულ 57,7 ჰა); N81 კვარტალი (სულ 229 ჰა); N82

კვარტალის ლიტერები NN1-13, N15 და N17 (სულ 120,8 ჰა); N83 კვარტალის ლიტერები NN1-7, N12, N14 და N18 (სულ 131,9 ჰა); N84 კვარტალის ლიტერები NN1-15 და N18 (სულ 104,2 ჰა); N85 კვარტალი (სულ 128 ჰა); N86 კვარტალის ლიტერები NN1-5 და NN7-9 (სულ 48,7 ჰა); N87 კვარტალის ლიტერები NN1-12 (სულ 76 ჰა); N88 კვარტალი (სულ 169 ჰა); N89 კვარტალის ლიტერები NN1-8, N10, NN13-16, NN20-24, N29 და N38 (სულ 125,3 ჰა); NN90-94 კვარტალები (სულ 925 ჰა); N95 კვარტალის ლიტერები NN1-9, NN11-17 და NN19-24 (სულ 142,3 ჰა); N96 კვარტალის ლიტერები NN1-5 (სულ 34 ჰა); N97 კვარტალის ლიტერები NN1-4 და N6 (სულ 36,9 ჰა); N98 კვარტალი (სულ 194 ჰა); N99 კვარტალის ლიტერები NN1-3, NN7-11 და NN18-23 (სულ 133,1 ჰა); N100 კვარტალი (სულ 230 ჰა); N101 კვარტალის ლიტერები NN1-36 (სულ 154,3 ჰა); N102 კვარტალის ლიტერები NN1-16, N18 და N21 (სულ 85,2 ჰა); N103 კვარტალის ლიტერები NN1-17, N23 და N30 (სულ 70,60 ჰა); N104 კვარტალის ლიტერები NN1-3, NN9-11, N18, N19, N21, N27 და N28 (სულ 56,7 ჰა); N105 კვარტალი (სულ 213 ჰა); N106 კვარტალის ლიტერები N1, N2, N3, N4, N5, N6, N16, N17, N18 და N19 (სულ 49,20 ჰა).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები განსაზღვრულია „ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1991-2001 წწ-ების პროექტით.

მუხლი 4. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი 61234,84 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები განსაზღვრულია:

ა) „დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ღონისძიებებისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შექმნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 28 ივლისის N447 დადგენილების საფუძველზე დადგენილი და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბორჯომის რაიონის საკრებულოს 2002 წლის თებერვლის N210 გადაწყვეტილებით (რაიონული გაზეთი „ბორჯომი“, 2002 წლის 27 თებერვალი, N10/8102), ხარაგაულის რაიონის საკრებულოს 2001 წლის 5 ნოემბრის N53 გადაწყვეტილებით (რაიონული გაზეთი „ჩემი ხარაგაული“, 2001 წლის 12 ნოემბერი, N11/72), ახალციხის რაიონის საკრებულოს 2002 წლის 3 აპრილის N22/7 გადაწყვეტილებით (რაიონული გაზეთი „ახალციხე“, 2002 წლის 11 აპრილი, N5-6/142-143), ბაღდათის რაიონის საკრებულოს 2002 წლის 9 იანვრის N30 გადაწყვეტილებით (რაიონული გაზეთი „ახალი ბაღდათი“, 2002 წლის 18 იანვარი, N2/132) და ხაშურის რაიონის საკრებულოს 2002 წლის 22 თებერვლის N22 გადაწყვეტილებით (რაიონული გაზეთი „ხაშურის მოამბე“, 2002 წლის 1 მარტი, N9/7699) დამტკიცებული (საბოლოოდ დაზუსტებული, მარკირებული, ნატურაში გამიჯნული და მიღებულ-ჩაბარებული) საზღვრების ფარგლებში მოქცეული ტერიტორიით (სულ 47118,44 ჰა);

ბ) „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიის გაფართოების შესახებ“ საქართველოს კანონით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისთვის ადიგენის რაიონის მიწებიდან გამოყოფილი და ადიგენის რაიონის საკრებულოს 2002 წლის 11 თებერვლის

N78 გადაწყვეტილებით (რაიონული გაზეთი „განახლებული მესხეთი“, 2002 წლის 20 თებერვალი, N1/7838) დამტკიცებული (საბოლოოდ დაზუსტებული, მარკირებული, ნატურაში გამიჯნული და მიღებულ-ჩაბარებული) საზღვრების ფარგლებში მოქცეული ტერიტორიით (10846 ჰა);

გ) ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შემადგენლობაში გადასაცემი, „დაცული ტერიტორიების სიტემის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე არსებული „ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის“ შემდეგი სატყეო კვარტალებითა და ლიტერებით: N23 კვარტალის ლიტერები N17, N18 და NN21-დან 26-ის ჩათვლით (სულ 37,8 ჰა); N24 კვარტალის ლიტერები N11, N12 და NN14-დან 23-ის ჩათვლით (სულ 75,4 ჰა); N42 კვარტალი (სულ 156 ჰა); N43 კვარტალის ლიტერები N8, N11, N13, NN16-დან 23-ის ჩათვლით და NN25-დან 28-ის ჩათვლით (სულ 99,9 ჰა); N44 კვარტალის ლიტერები N7, N8, N10, N12, NN14-დან 20-ის ჩათვლით და N24 (სულ 93,7 ჰა); N45 კვარტალის ლიტერები N18, NN24-დან 27-ის ჩათვლით, N30 და NN32-დან 42-ის ჩათვლით (სულ 82,6 ჰა); N47 კვარტალის ლიტერები N19, N20 და NN22-დან 33-ის ჩათვლით (სულ 48,5 ჰა); N48 კვარტალის ლიტერები NN27-დან 36-ის ჩათვლით (სულ 117, 1 ჰა); N49 კვარტალის ლიტერები NN19-დან 33-ის ჩათვლით (სულ 88,0 ჰა); N50 კვარტალი (სულ 212 ჰა); N51 კვარტალის ლიტერები NN6-დან 12-ის ჩათვლით, NN14-დან 22-ის ჩათვლით (სულ 141 ჰა); N55 კვარტალის ლიტერები N4, N5, N7, N8, N12, N13 და N17 (სულ 64 ჰა); N61 კვარტალი (სულ 173 ჰა); N71 კვარტალის ლიტერები NN1-დან 7-ის ჩათვლით და N11 (სულ 40,3 ჰა); N72 კვარტალი (სულ 109 ჰა); N78 კვარტალი (სულ 143 ჰა); N79 კვარტალი (სულ 131 ჰა); N80 კვარტალის ლიტერები N6, N8, N9, N10, N16, N17 და N21 (სულ 29,3 ჰა); N82 კვარტალის ლიტერები N14, N16 და NN18-დან 30-ის ჩათვლით (სულ 87,2 ჰა); N83 კვარტალის ლიტერები NN8-დან 11-ის ჩათვლით, N13, NN15-დან 17-ის ჩათვლით და NN19-დან 25-ის ჩათვლით (სულ 152,1 ჰა); N84 კვარტალის ლიტერები N16, N17 და NN19-დან 34-ის ჩათვლით (სულ 80,8 ჰა); N86 კვარტალის ლიტერები N6 და NN10-დან 26-ის ჩათვლით (სულ 66,3 ჰა); N87 კვარტალის ლიტერები NN13-დან 17-ის ჩათვლით (სულ 31,0 ჰა); N89 კვარტალის ლიტერები N9, N11, N12, N17, N18, N19, N22, NN25-დან 28-ის ჩათვლით და NN30-დან 39-ის ჩათვლით (სულ 78,7 ჰა); N95 კვარტალის ლიტერები N10 და N18 (სულ 4,7 ჰა); N96 კვარტალის ლიტერები NN6-დან 23-ის ჩათვლით (სულ 90 ჰა); N97 კვარტალის ლიტერები N5 და NN7-დან 29-ის ჩათვლით (სულ 168,1 ჰა); N99 კვარტალის ლიტერები N4, N5, N6 და NN12-დან 17-ის ჩათვლით (სულ 58,9 ჰა); N101 კვარტალის ლიტერები NN37-დან 46-ის ჩათვლით (სულ 20,7 ჰა); N102 კვარტალის ლიტერები N17, N19, N20 და NN22-დან 26-ის ჩათვლით (სულ 38,8 ჰა); N103 კვარტალის ლიტერები N14, N15, NN18-დან 22-ის ჩათვლით, NN24-დან 29-ის ჩათვლით, N31 და N32 (სულ 140,4 ჰა); N104 კვარტალის ლიტერები NN4-დან 8-ის ჩათვლით, NN12-დან 17-ის ჩათვლით, N20, NN22-დან 26-ის ჩათვლით და NN29-დან 42-ის ჩათვლით (სულ 181,3 ჰა); N106 კვარტალის ლიტერები NN7-დან 22-ის ჩათვლით (სულ 86,8 ჰა) (სულ 3127,40 ჰა);

დ) ხარაგაულის სატყეო მეურნეობის მარელისის სატყეოს N15, N16, N17, N19, N24 და N25 კვარტალებით (სულ 143 ჰა).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული ფართობი და საზღვრები განსაზღვრულია „ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1991-2001 წწ-ების პროექტით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მოცემული ფართობი და საზღვრები განსაზღვრულია „ხარაგაულის სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1991-2001 წწ-ების პროექტით.

მუხლი 5. ნემვის აღკვეთილის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას ნემვის აღკვეთილი 8992 ჰა ტერიტორიაზე.

2. ნემვის აღკვეთილის შემადგენლობაში არსებული სატყეო კვარტალებია: ნემვის სატყეოს კვარტალები NN1-დან 42-ის ჩათვლით (სულ 5922 ჰა); ახალდაბის სატყეოს კვარტალები N10, N11 და NN15-დან 34-ის ჩათვლით (სულ 2526 ჰა); რველის სატყეოს კვარტალები N14, N15, N21, N22 და N23 (სულ 544 ჰა).

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები განსაზღვრულია „ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1997-2007 წწ-ების პროექტით.

თავი III

დაცული ტერიტორიების მართვა

მუხლი 6. დაცული ტერიტორიების სახელმწიფო მართვა

1. დაცული ტერიტორიების სახელმწიფო მართვა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სხვა სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დაცული ტერიტორიების მართვაში მონაწილეობენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან კოორდინირებული მოქმედების საფუძველზე. (11.03.2011. N4389)

(2. სხვა სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დაცული ტერიტორიების მართვაში მონაწილეობენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან კოორდინირებული მოქმედების საფუძველზე. (25.03.2013. N463 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 7. დაცული ტერიტორიების ზონირება (11.03.2011. N4389)

ამ კანონით განსაზღვრული თითოეული დაცული ტერიტორიის (გარდა სახელმწიფო ნაკრძალისა) ზონირება განისაზღვრება მენეჯმენტის გეგმით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი.

(მუხლი 7. დაცული ტერიტორიების ზონირება 25.03.2013. N463 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

ამ კანონით განსაზღვრული თითოეული დაცული ტერიტორიის (გარდა სახელმწიფო ნაკრძალისა) ზონირება განისაზღვრება მენეჯმენტის გეგმით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი. ()

თავი IV გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 8. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N463 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის ვადაში გამოცემულ იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- ა) ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ბ) ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- გ) ნეძვის ალკვეთილის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მუხლი 9. ნორმატიული აქტის ნაწილები, რომლებიც ძალას კარგავს

ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით

ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ღონისძიებებისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შექმნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 28 ივლისის N447 დადგენილების (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებული, 1995 წ., N7) მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები.

მუხლი 10. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2007 წლის 11 ივლისი.
N 5263 – რს